

ქ. თბილისი

17 იანვარი, 2011 წელი

ერთი მხრივ, სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“ (მისამართი: ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №23, საბანკო რეკვიზიტები: (მისამართი: ქ. თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №23, საბანკო რეკვიზიტები: ბანკი „რესპუბლიკა“ საბანკო კოდი 220101757, ა/ა 102531545506 საიდენტიფიკაციო კოდი 211327580) (შემდგომში – „შემსყიდველი“) და

მეორეს მხრივ, გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირი ნატო შენველია (მისამართი: ქ. თბილისი, დოლიძის ქ. №41, საგადასახადო რეგისტრაციის მოწმობა №736, პირადი ნომერი 01026009891, საბანკო რეკვიზიტები: DLDZ პროკრედიტ ბანკის დოლიძის გაყოფილება, ბ/კ 220101922, ა/ა GE78 PC05 0360 0100 0019 56 GEL) (შემდგომში – „მიმწოდებელი“)

თანხმდებიან შემდეგზე:

1 ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსყიდველი, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ევროკავშირის გრანტით (№TACIS/2007/147562) დაფინანსებული „პირველადი ჯანდაცვის რეფორმის მხარდაჭერი პროექტის“ ფარგლებში ასორციელებს წერილობითი მთარგმნელობითი მომსახურების შესყიდვას ინგლისურ-ქართულ ენაზე.

2 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი და ღირებულება

- 2.1 შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს წერილობითი მთარგმნელობითი მომსახურების გაწევა სღვრული თანხით არაუმეტეს 2200.00 (ორიათას ორასი) ლარის ოდენობით. (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“). ერთი თარგმნილი გვერდის ღირებულებაა 22.00 (ოცდარი ლარი).
- 2.2 ხელშეკრულების ღირებულების სღვრული თანხა განისაზღვრება ხელშეკრულების ვადის განმავლობაში ფაქტობრივად გაწეული მომსახურების საერთო ღირებულებით.
- 2.3 პუნქტში მითითებული თანხა მოიცავს ყველა იმ გადასახადსა და მოსაკრებელს, რომელიც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, გარდა დამატებული ღირებულების გადასახადისა. შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 29 ივნისის №21-15-14040/01 წერილის თანახმად, ხელშეკრულების 1.1 პუნქტში მითითებული პროექტი გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან.

3 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 3.1 შემსყიდველის მიერ მიწოდებული სათარგმნი მასალა მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს დასრულებული სახით ელექტრონული ფორმით, 2011 წლის 10 თებერვლამდე.
- 3.2 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით თარგმნილი მასალის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.
- 3.3 მომსახურების გაწევის მიღება-ჩაბარების აქტი იძლევა გაწეული მომსახურების ღირებულების მოთხოვნის საფუძველს.

4 მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

- 4.1 შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
- 4.2 შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსრულებელს გაწეული მომსახურების ღირებულება
- 4.3 შემსრულებელს უფლება აქვს მოთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
- 4.4 შემსრულებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს ინფორმაცია გაწეული

მომსახურების შესახებ თანდართული მასალებით.

- 4.5 შემსრულებელი ვალდებულია კეთილსინდისიერად, მაღალი კვალიფიციურობით და სათბ. და გულისსმიერებით შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები.
- 4.6 შემსრულებელი ვალდებულია საიდუმლოდ შეინახოს ის ინფორმაცია რაც მისთვის გახდა ცნობილი ამ ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას.
- 4.7 მხარეები ვალდებული არიან დაიცვან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

5 ანგარიშსწორების პირობები

- 5.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორების წესით ეროვნულ ვალუტა ღარში.
- 5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი და მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე 10 დღის განმავლობაში.

6 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

- 6.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის. გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 6.2 წინამდებარე ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების ცვლილების შემთხვევაში, ფასების შეცვლის ინიციატორმა მხარემ უნდა შეატყობინოს ამის შესახებ მეორე მხარეს წერილობით. ფასების ცვლილება ფორმდება ხელშეკრულებაში დამატება/ცვლილების სახით.

7 მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

- 7.1 შემსყიდველი პასუხისმგებელია, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება გაწეული მომსახურებისათვის.
- 7.2 მომსახურების მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი პასუხისმგებელია, შემსყიდველს აუნაზღაუროს პირგანამტკიცლო ხელშეკრულების თანხის 0.5%-ის ოდენობით ყოველ ვალაგადაცილებულ დღეზე.

8 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 8.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან 2011 წლის 31 მარტამდე;

9 ინსპექტირების პირობები

- 9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების მიწოდების პარალელურად და მის დასრულებისას განახორციელოს ინსპექტირება, რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან;
- 9.2 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს ევროკავშირის პროექტის კომპონენტის კოორდინატორი თამარ შანიძე, რომელიც უზრუნველყოფს „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 26-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულებას და გაწეული მომსახურების (მოვლიანი ან/და ნაწილობრივი) მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებას დადგენილი წესის შესაბამისად.

10 ფორს-მაჟორი

- 10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი ვარემოებებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, დაუძლეველი ძაღის ზემოქმედება და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი ვშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწვეს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

- 10.2 თუ სახელმწიფოებო ვალდებულებების მოდიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
- 10.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

- 11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან ახრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
- 11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12 სხვა პირობები

- 12.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობით თანხმობის გარეშე.
- 12.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
- 12.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამ) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ხოლო 2 ეგზემპლარი ინახება შემსყიდველ მხარესთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
- 12.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

„შემსყიდველის“ სახელით

„მიმწოდებელის“ სახელით

სსიპ „საქართველოს
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის პროექტების
განმასორციელებელი ცენტრი“
მისამართი: ქ. თბილისი, 0160,
აღ. ვაზბეგის გამზ. №23, II
კორპუსი
საიდ. კოდი 211327580
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკი „რესტრუბლიკა“
ბიუჯ 220101757
ა/ა 102531545506


ფიზიკური პირი
ნატო შენგელია
მისამართი: ქ. თბილისი,
დოლიძის ქ. №41,
საგადასახადო რეგისტრაციის
მოწმობა №736,
პირადი ნომერი 01026009891,
საბანკო რეკვიზიტები:
DLDZ პროკრედიტ ბანკის
დოლიძის გაყოფილება,
ბ/კ 220101922,
ა/ა GE78 PC05 0360 0100 0019 56 GEL

ივანე ყაჭიური
აღმასრულებელი დირექტორი

ნატო შენგელია

5. 2/2/20

ბ. ა.



თარგმანის მოცულობისა და ღირებულების განგარიშება

1. სათარგმნი მასალის გვერდების რაოდენობის დაანგარიშება:

- 1.1. სათარგმნი მასალის ელექტრონული ფორმით მიწოდებისას მისი რაოდენობა განისაზღვრება სათარგმნი ტექსტის სიმბოლოთა რაოდენობის შესაბამისად: 2000 ნაბეჭდი სიმბოლო (სიბეჭდის შორის დაშორების სიმბოლოს გარეშე შეეხება) ნათარგმნი მასალის 1 გვერდს
- 1.2. სათარგმნი მასალის ნაბეჭდი სახით მიწოდებისას გვერდების რაოდენობა განისაზღვრება ტექსტულ-ტაბულური თარგმანის გვერდების რაოდენობის მიხედვით.

2. სათარგმნი მასალის ღირებულება:

- 2.1 სათარგმნი მასალის ერთი გვერდის ღირებულებაა 22 ლარი;
- 2.2 2.1 პუნქტში მითითებული თანხა მოიცავს ყველა იმ გადასახადსა და მოსაკრებელს, რომელიც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, გარდა დღგ-სა;